პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.</p> <p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 7 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25 მ. კუბი ნარჩენი.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიის დაგვა და სანიტარული დასუფთავება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> სანიეპიდემიური დავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა. ქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნებულია, გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები. 		

პროგრამის დასახელება	კოდი	ნაგავშემკრები კონტეინერები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 05		150,0
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ზედამხედველობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნაგავშემკრები კონტეინერების შექმნა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<ul style="list-style-type: none"> მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა. 		

მუხლი 15. განათლება

განათლება და განათლებული მომავალი თაობის აღზრდა მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და შესაბამისად წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად. პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების გაერთიანება პროგრამის განხორციელება.

პროგრამის დასახელება	კოდი	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01		3051,1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების</p>		

	<p>შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი 1850 აღსაზრდელით. სულ საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 404 თანამშრომელი (ქალი - 350, კაცი - 54), მათ შორის 122 აღმზრდელი და 61 თანაშემწე.</p> <p>ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და აღჭურვა სათანადო ინვენტარით.</p> <p>ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;</p> <p>პროგრამის მიზანია სკოლამდელი დაწესებულებების თანაბრად, ხელმისაწვდომობა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება. უსაფრთხო და მიმზიდველი გარემოს შექმნა.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ხელმისაწვდომი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო</p>

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის ეს პრიორიტეტი ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან იგი მოიცავს უამრავ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ისტორიულ ადგილებს, ტურისტულ მარშრუტებს. ამასთანავე უაღრესად ყურადსაღებია მუნიციპალიტეტიდან ადგილობრივი ახალგაზრდების მიგრაციის თემა, შიდა თუ საერთაშორისო ტურისტული ნაკადების გაზრდა. ყოველივე ამისთვის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას, ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას, ინოვაციების ხელშეწყობას და განათლების პარალელურად მოზარდი და ახალგაზრდა თაობებისთვის კულტურისა და სპორტის განვითარებას. მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, ხელოვნების და კულტურის დარგის გამოჩენილი ახალგაზრდების წახალისებას. ყველა მოზარდს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოავლინოს ნიჭი და უნარი. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით მუნიციპალიტეტში სისტემატიურად ტარდება სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები.

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი	05 01		942,0
პროგრამის აღწერა და მიზანი		<p><i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)</i></p> <p>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდება სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში სპორტსმენების ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. ასევე, წარმატებული წყალტუბოელი სპორტსმენების წახალისება. მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.</p> <p>პროგრამის მიზანია მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც</p>	

	გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		31,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ასევე, მოხდება წარმატებული სპორტსმენების წახალისება, ვეტერანი და დამსახურებული სპორტსმენების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, როგორცაა წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება; სხვადასხვა ღონისძიებებზე ტრანსპორტირება; შშმ სპორტსმენებისათვის ტურნირებზე მივლინება; სპორტული ღონისძიებებისათვის თასებისა და მედლების შესყიდვა; სპორტული ღონისძიებებისათვის დიპლომების ბეჭდვის მომსახურება; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისათვის ფორმების შესყიდვა; გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში; სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა; ქალთა საერთაშორისო დღისდადმი მიძღვნილი ფრენბურთის ტურნირი; სპორტული ღონისძიებისთვის სპორტული ინვენტარის შესყიდვა; გურამ ქურასბედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭიდაობის ტურნირი; ჭადრაკის ფესტივალი; შალვა ზუიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში (საერთაშორისო); სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მარათონი; მკლავჭიდი; სულიკო ნიქაბაძის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი; ნოდარ კოხრეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში; დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბ/რმ ჭიდაობაში; ზურაბ ზადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში კერძო და საჯარო სკოლებს შორის; როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ხელბურთში (საერთაშორისო); ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი ფეხბურთის ტურნირი კერძო და საჯარო სკოლებს შორის, სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეთათვის წყლის შესყიდვა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებით არის ჩატარებული ადგილობრივი და საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები. გატარებულია ღონისძიებები მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მასობრივ სპორტში მოზარდებისა და ახალგაზრდების ჩართულობა გაზრდილია		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		911,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>მუნიციპალიტეტის დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გადმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის.</p> <p>მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია მაღალი მიღწევების სპორტის, სამწვრთნელო-სამეჯიბრო საქმიანობის მხარდაჭერა, ადგილობრივ სპორტსმენთა განვითარების ხელშეწყობა, რაც მიმართულია სპორტსმენთა მიერ სპორტულ მეჯიბრებებში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევაზე.</p> <p>სპორტის სხვადასხვა სახეობებში მოასპარევე 18 წლამდე ასაკის პერსპექტიული სპორტსმენების ფინანსური წახალისება, რაც გაზრდის მათ მოტივაციას სასწავლო-საწვრთნო პროცესის მიმართ. ამასთან, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს პირველობებში, ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში და საერთაშორისო ტურნირებში მაღალი შედეგების მიღებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. გაზრდის პროფესიონალური სპორტის პოპულარობას, სწორად წარმართავს ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის გამოყენებას.</p> <p>ქვეპროგრამა მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის (პარასპორტის) განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (ეროვნულ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, მუნიციპალიტეტის ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის მეჯიბრებებზე მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების წევრთა მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას. სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენთა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში. კლუბების საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა და ა.შ.</p> <p>პროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მ. შ. ქალთა შორის სპორტული სახეობების პოპულარიზაციას და ქალთა გუნდების ჩამოყალიბებას მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია.</p> <p>ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ხელი შეუწყოს მაღალი მიღწევების სპორტში მეტი მოზარდის ჩართვას. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენას ქვეყნის მასშტაბით.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>გამართულად ფუნქციონირებადი სპორტული სკოლები, ორგანიზებულად ჩატარებული მეჯიბრებები და ტურნირები. ხელშეწყობილია მუნიციპალური სპორტული კლუბებისა და მათ ბაზაზე არსებული ასაკობრივი ჯგუფების განვითარება</p> <p>სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში აქტიურად ჩაბმული და წახალისებული პერსპექტიული ბავშვები და მოზარდები. სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის მეჯიბრებები, სპორტული ვედეტარაციებისა და კლუბების ხელშეწყობა, საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა. ქალთა სპორტის განვითარება</p>

<p>ღონისძიების დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>წყალტუბო არენა</p>	<p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
	<p>05 01 02 01</p>		<p>140,0</p>
<p>ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ა(ა)იპ წყალტუბო არენა</p>		
<p>ღონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის.</p>		
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.</p>		

<p>ღონისძიების დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება</p>	<p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
	<p>05 01 02 02</p>		<p>621,0</p>
<p>ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ა(ა)იპ წყალტუბო მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება</p>		
<p>ღონისძიების აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი როლი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას, რომელთაც ეუფლება 478 სპორტსმენი. ღონისძიება აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას: რაგბი (94 სპორტსმენი), ხელბურთი (45 სპორტსმენი(14ქალი, 31 კაცი)), ფრენბურთი (48 სპორტსმენი(19ქალი, 29 კაცი)), კალათბურთი (61 სპორტსმენი (20ქალი,41კაცი)), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (44 სპორტსმენი), ქართული ჭიდაობა (17 სპორტსმენი), მიუდო (68 სპორტსმენი), ძალოსნობა (20 სპორტსმენი(2 ქალი,18 კაცი)), მძლეოსნობა (18 სპორტსმენი 12 ქალი,6კაცი)), მკლავჭიდი (16 სპორტსმენი), კრივი (21</p>		

	სპორტსმენი), ჭადრაკი (21 სპორტსმენი (3ქალი, 18კაცი)), მაგიდის ჩოგბურთი (12 სპორტსმენი). გაერთიანებაში დასაქმებულია 53 ადამიანი, მათ შორის ქალი - 14, კაცი-38. გაერთიანების სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს, საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და პირველობებში. ღონისძიების ფარგლებში ხდება ხელშეწყობა მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩაერთოს სპორტში და სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ღონისძიებების მიზანია: სპორტის სხვადასხვა სახის პოპულარიზაცია; ხელი შეუწყოს მოზარდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის საყოველთაობის, ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		150,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - მოწყობა, კერძოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში და ქალაქ წყალტუბოში დედა-ენის, ნინოშვილის ქუჩებზე მინი სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები.</p> <p>გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p> <p>სპორტული ობიექტებიგულისხმობს სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა და სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია;</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის მასობრივად ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში. ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის აუცილებელია მოზარდი ახალგაზრდობის ჩართულობა ფიზიკურ და სპორტულ აქტივობებში, ამისათვის საჭიროა ახალი, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ადაპტირება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ქალაქში სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება და შექმნა, მისი ადაპტირება ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებზე,</p>		
მოსალოდნელი შედეგი	განახლებულია ქალაქის სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც ადაპტირებულია როგორც ქალთა ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე, სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდობისთვის შექმნილი სპორტული ინფრასტრუქტურა და არსებულის ჩენარჩუნება, ქუჩის სპორტის განვითარება		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1405,4
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული ღონის ამადლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები.</p> <p>პროგრამის მიზანი: სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ფესტივალებისა და ღონისძიებების განხორციელების შედეგად.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1222,3

	01		
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.</p> <p>პროგრამის მიზანი: სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის, მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა		

ღონისძიების დასახელება	კოდი	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		513,3
ღონისძიების განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი		
ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ხელშეწყობა სხვადასხვა სახის პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული განვითარება. დაწესებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმალური განათლების მიღება. ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება. მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა.</p> <p>მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა შემოქმედებით საქმიანობაში		

ღონისძიების დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		609,0
ღონისძიების განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა. რასაც რასაც ემსახურება ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 30 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი. ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება ასევე სასოფლო ბიბლიოთეკების უფასო ინტერნეტით აღჭურვა, რომლითაც აქტიურად სარგებლობს სოფლის მოსახლეობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობაში გაზრდილია ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართულია ახალგაზრდები.		

ღონისძიების დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		100,0
ღონისძიების განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი		
ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით შემომყვანი და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა. პროგრამის ღონისძიებები გათვლილია ადგილობრივ მოსახლეობასა და ვიზიტორებზე და ზოგადად ითვალისწინებს გენდერულ თანაფარდობას მისი სარგებლობისა და ხელმისაწვდომობის პარამეტრში. პროგრამის ამოცანებია შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, სახვადსხვა ღონისძიებების, ფორუმების, კონფერენციების, გამოფენების გამართვის/მონაწილეობის გზით მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია, მიმზიდველობის</p>		

	ზრდა, მიზნობრივი ბაზრებიდან ტურისტების მოზიდვა, ტურისტულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ასევე მუნიციპალიტეტის მდგრადი ტურისტული განვითარებისთვის სტრატეგიის შემუშავება. მიზნების მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა; სარეკლამო და საინფორმაციო ბეჭდური მასალების შექმნა და გავრცელება; ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე; ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების განთავსება; ტურისტების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურა (მანიშნებლები, საკემპინგე ადგილები და სხვა) საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებზე ტურისტული ადგილების შესახებ ცნობადობა ამაღლებულია ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური სემინარები, ვორქშოპები და ტრენინგები ჩატარებულია ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებები დაორგანიზებულია გაზრდილია ვიზიტორების რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		83,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, როგორცაა: სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, საშობაო ღონისძიება, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულთა დაჯილდოვება, ტრანსპორტირება, აგრო ტურისტული ფესტივალი, სასწავლო წლის დასრულების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ხელოვნების დღეები წყალტუბოში, მოწვევა, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილი, სიყვარულის დღე, ქართული სამოსის დღე, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 2 მაისობა (გვირილობა), ბავშვთა საერთაშორისო დღე, სახალხო დღესასწაული „ოტიობა“, 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული ღონისძიებები, ღვინის და ყველის ფესტივალი, სოხუმის დაცემის დღე, სახალხო დღესასწაული შემოდგომის წყალტუბო, პოეზიის საღამო, ღვთისმშობლის წილხვედომილობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის ბროშურების, წიგნების, დიპლომების, მოსალოცი და მოსაწვევი ბარათების ბეჭდვის მომსახურება; წყლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; საახალწლო ღონისძიება; საახალწლო საჩუქრები. ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.	
მოსალოდნელი შედეგი		ქალაქის გამრავალფეროვნებული კულტურული ცხოვრება; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას. ქვეპროგრამის მიზანი: ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობა.	
მოსალოდნელი შედეგი		რელიგიური მემყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერების ამაღლება	

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 03		9,1
პროგრამის განმახორციელებელი		წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)	
პროგრამის აღწერა და მიზანი		ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება. ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. რაც ქმნის იმის საჭიროებას, რომ ადგილობრივ დონეზე, განხორციელდეს მათი მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა. თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო და ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს	

	<p>მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები.</p> <p>საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, თანახმად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას.</p> <p>პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა პროექტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ეტალონი; • ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დღეები; • რა? სად? როდის? • შშმ პირებისთვის საჩუქარი; • ევროკავშირის დღეები. <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.</p> <p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართულია ახალგაზრდები. წარმატებულად განხორციელებული ახალგაზრდული პროექტები.</p>

მუხლი 17. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 06 01 01</p>	<p>საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა</p>	<p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში 116,0</p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხვედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.</p> <p>ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, ანტირაბიულ კაბინეტზე მეთვალყურეობა და სისტემური მონიტორინგი, პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა; ცხოვრების ჯანსაღი წესის გატარება; სამედიცინო სტატისტიკის მონიტორინგი; იმუნური პროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით; ცივი ჯაჭვის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ყოველთვიური მონიტორინგი პირველადი ჯანდაცვის რეგიონებში; COVID -19-ის ტესტირება დაავადებულების მოკვლევა დადგენილი წესის მიხედვით; C ჰეპატიტის სკრინინგი და დადებით შემთხვევაში მკურნალობა.</p> <p>პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;</p>		
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება</p>		

<p>ქვეპროგრამის/ღონისძიების</p>	<p>კოდი</p>	<p>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის</p>	<p>2022 წლის დაფინანსება</p>
---------------------------------	-------------	---	------------------------------

დასახელება	06 02 01	სათნოების სახლი	ათას ლარში
			277,0
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით.</p> <p>2021 წლის მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 190 ბენეფიციარი (მათ შორის 123 ქალი და 67 კაცი).</p> <p>ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შინმძიანის სერვისი, რომელიც დაინერგა 2020 წლიდან.</p> <p>პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა. შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების თანადგომა</p>		
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირები უზრუნველყოფილნი არიან ყოველდღიური უფასო კვებით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		2,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხანდაზმული მოქალაქეების თანადგომა და მხარდაჭერა, ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიალური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით. თანხა გაიცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდა ან მისი ასაკი აღემატება 100 წელს.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ასი და მეტი წლის უზუცესები უზრუნველყოფილნი არიან ფინანსური დახმარებით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		111,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მშობლები) ერთჯერადი ფულადი დახმარება: ა) მესამე შვილის შეძენისას – 500 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 700 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას - 500 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი.</p> <p>ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.</p> <p>ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ, პუნქტები ვრცელდება იმ ოჯახებზე, რომელთა შვილები დაიბადა 2021-2022 წლებში და არ აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.</p> <p>მიზანი: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებულია		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		12,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების, ასევე უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის გამღებ ოჯახთა დახმარების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, თითოეულზე 250 ლარის ოდენობით.</p>		

მოსალოდნელი შედეგი	სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		600,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:

ა) სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 65000-დან 100000-ი ქულის ჩათვლით და ღებულობს საარსებო შემწეობას განესაზღვროს დახმარება - 250 ლარი.

ბ) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება -1 000 ლარი;

